№ 158 მკათათვე 28, პარასკევი — 1889 — მკათათვე 28 პარასკევი № 158


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაგზავნად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

## რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია გადავიდა კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, იქ, სადაც წინად მომრიგებელ-სასამართლოს მესამე განყოფილება იმყოფებოდა და ამჟამად ბ-ნ მრევლიშვილის პანსიონი იმყოფება.

ტფილისი, 28 მკათათვე

თავის დროზე ჩვენ აღვნიშნეთ სხვა-და-სხვა ცვლილება, რომელიც სამოსწავლო მთავრობამ უნდა შემოიღოს სასწავლებლებში. მაგალითად. მოხსენებული იყო, რომ მთავრობას განზრახვა აქვს შეამოკლოს ბერძნულისა და ლათინურის ენების პროგრამა და შემოიღოს გიმნასტიკის სწავლება ყველა საშუალო სასწავლებელში და მათ შორის სასოფლო სკოლებშიაცა. თუ რამდენად სასურველი და სასარგებლოა ეს ორი ცვლილება, არაფერს ვიტყვით, რადგანაც ამის შესახებ უკვე გვქონია მკითხველთან საუბარი. როგორც გაზეთები გვატყობინებენ, განზრახვა აქვთ კიდევ ერთი ფრიად სასიკეთო ცვლილება შემოიღონ გიმნაზიებში. გაზეთები ამბობენ, ვითომ მთავრობას აზრად აქვს ბუნების-მეტყველების სწავლება დააწესოს გიმნაზიაში, რომლის პროგრამიდგან თითქმის სრულიად გამოკლებულია საბუნების-მეტყველო საგნები. მაგალითად, სრულიად არ ისწავლება ხიმია, ბოტანიკა, მინერალოგია, ზოოლოგია და ამიტომ გიმნაზიებში სწავლა-დამთავრებულს ყმაწვილ-კაცობას ბუნებისა არა ესმის-რა. სამაგიეროდ გიმნაზიებში განსაკუთრებით ბეჯითად ასწავლიან ბერძნულსა და ლათინურს ენებს ვითომ-და იმ მოსაზრებით, რომ ამ ენების სწავლება გონებას ავარჯიშებს და ამხნევებს და ყმაწვილ-კაცობას შრომასა და მუყაითობას აჩვევსო. როგორც სჩანს, ამ მოსაზრებას სახელი გასტეხია და დიდის ხნის გამოცდილებით დარწმუნებულან, რომ ლათინურისა და ბერძნულის ენების სწავლება იმდენად სასარგებლო არ არის, როგორც ეგონათ.

ის ამბავი, რომ ვითომ გიმნაზიაში საბუნების-მეტყველო საგნების სწავლება უნდა შემოიღონო, ჯერ-ჯერობით ხმად დადის და ოფიციალურად იმის შესახებ არა ვიცით-რა, მაგრამ დასაჯერებელი-კია. რაკი ბერძნულისა და ლათინურის ენების სწავლებას შეამოკლებენ, უეჭველია ყმაწვილებს დრო და მოცალეობა დარჩებათ. ეს დრო და მოცალეობა ნაყოფიერად უნდა გამოიყენონ, რისთვისაც საბუნების-მეტყველო საგნების სწავლება საუკეთესო საშუალებად არის ცნობილი.

საბუნების-მეტყველო საგნების სწავლება რომ ლათინურსა და ბერძნულს ენებზე უფრო გამოსადეგია ადამიანის გრძნობა-გონების სავარჯიშოდ, საწვრთნელად, ამაში ეჭვი არ არის, რადგანაც უცხო გრამატიკისა და სიტყვების ზეპირად სწავლა იმის მეათედსაც არაფერს ეუბნება ყმაწვილის სულსა და გულს, რასაც გარემოცული ბუნება, სულიერი, თუ უსულო, აუწყებს და ასწავლის. დღევანდელმა გიმნაზიაში სწავლა-დამთავრებულმა ყმაწვილმა ბუნებისა არა იცის-რა და ამიტომ ცხოვრებაშიაც ძნელად იკიდებს ფეხს. იმას არავითარი გაგება არა აქვს, თუ როგორ სწარმოებს საერთოდ ბუნების ცხოვრება, არა იცის-რა იმის კანონებისა და ამიტომ გარემოცული ბუნება იმისთვის სრულიად უცხო და გაუგებარია. სამაგიეროდ გაზეპირებული აქვს უცხო სიტყვები და გრამატიკა და ასე გასინჯეთ, იმ დიდებულ ერთა მწერლობისა მაინც არა იცის-რა. რასაკვირველია, ამისთანა ყმაწვილი კაცი ცხოვრებისათვის ნაკლებად მომზადებულია, რადგანაც ცხოვრებაში უცხო გრამატიკასა და სიტყვებზე უფრო გამოსადეგი და სასარგებლოა საბუნების-მეტყველო საგნები, რომლებიც ყმაწვილის გონებასაც საკმაოდ ასაზრდოებენ, აფხიზლებენ, შრომასა და მუყაითობას აჩვევენ და ცხოვრებისათვისაც უკეთ ამზადებენ ყმაწვილ-კაცობას. მაგალითად, გიმნაზიაში კურს-შესრულებულმა ყმაწვილმა თითქმის არა იცის-რა ჰავისა და წყლისა, ზეცისა და მიწისა, არა გაეგება-რა პირუტყვთა და მცენარეთა ბუნებისა და ცხოვრებისა, ერთის სიტყვით, არა აქვს ის ცოდნა, რომელიც ყოველს ფეხის ნაბიჯზე საჭირო და გამოსაყენებელია.

საბუნების-მეტყველო საგნების სწავლება რომ საუკეთესო საშუალებაა ყმაწვილ-კაცობის გონების სავარჯიშოდ და საწვრთნელად, დიდი ხანია საერთოდ მეცნიერებამ და კერძოდ პედაგოგიამ გამოარკვია და უტყუარის საბუთებით დაამტკიცა, მაგრამ დღემდე ამ საგნებს ჯეროვანი ადგილი და პატივი არა აქვს დამკვიდრებული არც ცხოვრებაში და არც სასწავლებლებში. მაგალითად, გიმნაზიაში, რომელსაც სხვა სასწავლებლებთან შედარებით უპირატესობა აქვს მინიჭებული, ამ საგნებს სრულიად არ ასწავლიან, და რეალური სასწავლებელი-კი, სადაც საბუნების-მეტყველო საგნებს ასწავლიან, გიმნაზიის უფლებას მოკლებულია.

რასაკვირველია, საბუნების-მეტყველო საგნების სწავლება გიმნაზიაში და სხვა-და-სხვა ცვლილება, რომელიც წინად გვქონდა მოხსენებული, სრულიად ფერს აცვლევინებს დღევანდელს გიმნაზიებს და მოზარდის თაობის ბედსაც სხვაფრივ დაატრიალებს.

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

⁂ ოთხშაბათს, მკათათვის 26, ტფილისის ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე სერგო დანდუროვისა. საქმიდამ სჩანს, რომ დანდუროვი 1870 წელს სხვა ტუსაღებთან ერთად გაქცეულა ციხიდგან, რისათვისაც გაენგრიათ ჭერი იმ ოთახისა, სადაც დაპატიმრებული ყოფილან ტუსაღები. მას შემდეგ გადის აგერ მეცხრამეტე წელიწადი და დანდუროვი კი ვერ ეპოვნათ. ამ ხნის განმავლობაში, როგორც ბრალდებულმა სთქვა სასამართლოში, იგი ყოფილა ოსმალეთში, ავსტრი-ვენგრიაში და სხვა ალაგებში საზღვარ გარეთ, სადაც მას დაუწყია ვაჭრობა. შემდეგ მოსულა ისევ უკან ტფილისში და სასამართლოს გამომძიებლად ნამყოფს ხოსროევთან მისულა. თუმცა ხოსროევმა იცოდა, რომ დანდუროვი ციხიდგან გაქცეულია და კარგა ხანია, რაც დაეძებენ, მაგრამ მაინც კიდევ მიიღო სერგო დანდუროვი და დააყენა თავის მამულის მოურავად ერევანში. მერე სერგო დანდუროვს ტფილისში, ავჭალის

# ფელეტონი

## ბატონ-ყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის.

ვუძღვნი პატივცემულს პროფესორს ი. ლ. ოქრომჭედლიშვილს.

X*)

მას შემდეგ, რაც ბატონ-ყმობამ მიიღო სახელმწიფო ხასიათი („დავთარში“ ჩაიწერა), ბატონი მეფის მოხელე გახდა, ბატონის უფლება გაორკეცდა და შესდგა ორის ელემენტისგან—ეკონომიურისა და პოლიტიკურის ხელმწიფობისგან: როგორც მამულის მფლობელი, იგი სარგებლობს ყმის შრომით და სამსახურით; როგორც სახელმწიფოს აგენტი, აბჭობს ყმათა საქმეს, ყურს უგდებს იმის ობლებს და პასუხის-მგებელია ყმებისა მთავრობასთან[1]). ბატონი გახდა ხელმწიფის წარმომადგენლად პროვინციაში, მიეცა განსაზღვრული უფლება და მოვალეობა: ბატონი გახდა მზრუნველი და მსაჯული ყმისა, გაუფლდა იმის პიროვნებაზე, როგორც კანონიერი, მთავრობისაგან დაყენებული მოხელე, რომელსაც ნება აქვს დასტუქსოს და დასაჯოს მოუდრეკელი, ურჩი ყმა[2]). ბატონს თვალს ადევნებს მეფე და მთავრობა, რომ თავისი დანიშნულება ყმების შესახებ წმინდად შეასრულოს. გამოვარკვიოთ იმისი მოვალეობაც:

1) ბატონი უნდა იყოს შეუსყიდავი, მართლიერი პატრონი და მფარველი ყმისა. იმას არა აქვს ნება წაართვას რამე ყმას, რაც-კი კანონით არ ეკუთვნის. უკანონო საქციელი ამ შემთხვევაში ბატონს დაუსჯელად არ გადაუვლის: ბატონმა თორმეტის გლეხის სისხლი უნდა მისცეს[3]).

2) ბატონს უნდა გაენთავისუფლებინა ყმა ექვსის წლით გადასახადისაგან, როცა ახალს სოფელში დაასახლებდა[4]).

3) როცა ბატონის სახლში უფროსი კვდება, იმ წელიწადს ყმას ხარჯი არ გამოერთმევა მიცვალებულის სულის მოსახსენებლად[5]).

4) წყალს, შეშასა და ბალახს ბატონი ყმას ვერ დაუჭერს. „დასტურლამალში“ არ არის მოხსენებული ტყის ხარჯი, თუმცა სხვა გლეხის გარდასახადს მეტად დაწვრილებით მოგვითხრობს[6]). მეფე უწყრება ამილახვარს, რომ იგი უკრძალავს გლეხებს ტყით სარგებლობას და არღვევს მიღებულს ჩვეულებას[7]).

5) ბატონმა უნდა გამოჰკვებოს შიმშილობაში, ჩააცვას და დახუროს და დაუმარხოს თავის ყმას მიცვალებული[8]).

6) როცა სოფელი დაისეტყვა, ან მტერმა ააოხრა, იმ წელიწადს გლეხს არა გამოერთმის რა. სამსახურისთვის ბატონისადმი იგი თარხნდება რამდენისამე წლით რომლისამე გარდასახადისაგან: ვახტანგმა გაანთავისუფლა შაბაშვილი სახელმწიფო ხარჯისაგან ათის წლით[9]). ავადმყოფობა საკმაო საბუთი იყო, რომ გლეხი გაენთავისუფლებინათ მუშაობისაგან[10]).

7) ბატონს აკრძალული ჰქონდა მოეკლა, ან დაეჭრა თავისი ყმა: „ბატონსაც წიგნი დაადებინოს, ვკითხულობთ ვახტანგის სამართალში, რომ: უხელმწიფოთ ვერც მოკლას, ვერც გაახეიბროს“[11]). ეს ხელ-შეუხებლობა ყმისა გავრცელდა თავის ნებით ყმად შესულთ პირობისაგან, რომლის ძალით ბატონი წიგნს აძლევდა, რომ კანონიერად მოექცეოდა ყმას. სისხლის სამართალი ჩვენში ბატონებს, წინაალმდეგ რუსეთისა, არ მიეცათ; უხელმწიფოდ, ბძანებს მეფე ვახტანგი, კაცს თავის ყმის სიკვდილი არე ხელმწიფების[12]). „Haute justice“ ეკუთვნოდა მეფეს და არა ბატონს.

8) ბატონის მკვლელი არ იყო ისე შეუწყალებელი დამნაშავე, როგორც უყურებენ იმას ბერძენთა კანონები. თანახმად ამ კანონებისა, ბატონის სისხლის დამქცევი ცეცხლში უნდა დაეწვათ[13]). ჩვენის კანონების დადგენებით ამ გვარს დამნაშავეს მხოლოდ მდგომარეობა ეცვლება და ხდება ნასყიდზედ ქვეით: „ნასყიდისგან უფრო ვერსად დაიკარგოს“[14]), ამბობს ვახტანგი.

9) თუ ბატონმა მოჰკლა, ან დასჭრა ყმა „უბრალოდ“, საფათერაკო უნდა მისცეს და წყალობა რამე უყოს და სისხლიც უნდა მისცეს. თუ იმის ყმობა აღარ ინდომა... თავის ცოლშვილით ვისთანაც უნდა წავა, უწინდელი პატრონი ვეღარ მიედავების, ამიტომ რომ თავის სისხლით დაუხსნია თავისი თავი[15]). მაშასადამე ჩვენში ყმა არ არის „res“, მხოლოდ სულიერი დასასჯელი, იგი არის სუბიექტი საკუთარის უფლებით. თვით ბატონმა უნდა მისცეს სისხლი ყმას, როცა დასჭრის და უნდა ჰზღოს სისხლი, ვირა (Wergeld) იმის ოჯახის სასარგებლოდ, თუ ბატონისაგან მოკლულ იქმნა.

10) ბატონს არ შეეძლო ქვრივის ძალით გათხოვება, ყმის ობლების მოახლედ წაყვანა. ვახტანგის კანონით ეს აკრძალული ჰქონდა[16]).

11) ბატონს არ შეეძლო ყმის ოჯახის შელახვა და გაუპატიურება: თუ ბატონმა ყმის ცოლს უაშიყოს ან ღამე, ან დღისით და ცოლთან საწოლად დახელოს და იმან კაცმან მოკლას... სისხლი არ გაუჩნდების[17]).

12) ბატონი ვალდებული იყო მიეცა ნება ყმისთვის გაეყიდნა თავისი მამული. ხუციშვილებმა ბატონის თანხმობით გაჰყიდეს ნასყიდი სახლის ადგილი[18]). აგრეთვე საეკკლესიო მამული მეფისა და წინამძღვრის ნება-რთვით შეიძლება გაჰყიდოს სამონასტრო ყმამ[19]), თუ გაუჭირდა. საბატონო მამული ჯერ ბატონმა უნდა გაშინჯოს და, თუ მოინდომებს, ყიდვაში უპირატესობა ეძლევა[20]). საეკკლესიო მამული ჯერ საეკკლესიო ყმას უნდა შეაძლიონ[21]) და შემდეგ სხვა მსურველთაც შეუძლიანთ დამკვიდრდნენ ნასყიდ საეკკლესიო მამულზედ.

13) ყმას შეეძლო გადასვლა ერთის ბატონისაგან მეორესთან და სრულიად განთავისუფლება ყმობისაგან.

*) იხ. „ივერია“ №№ 148, 150, 152 და 154.

1) Fustel de Coulanges. Histoire des irstitutions politique, გვ. 249—252.

2) ვახტანგ. კან., §§ 80, 98 და 203. არევა კერძო და სახელმწიფო უფლებათა მოხდა ევროპაშიაც. Waitz. Verfassugsgeschich te I, 167.

3) ალბულას კან., § 150. მიღებული იყო ჩვეულებითა და კანონით.

4) Обычай выработан. при груз. царяхъ, § 63.

5) Обычай, § 67.

6) ვახტანგ. კან., § 169. გურიაში-კი ყოფილა ტყეზედ გადასახადი. Бакрадзе. Археол. путешествіе, 284.

7) Кр. гр., 45—6.

8) Кр. гр., 56.

9) Церк. гудж., 68; Двор. гр., 15.

10) Кресть. гр., 56.

11) ვახტანგის კან., 258.

12) ვახტ. კან., § 95.

13) ბერძენთა კან., § 172. Lex Salica, § 35. ძალით ნახევარ სისხლის ფასად ეძლევა ბატონის ოჯახს.

14) ვახტანგის კან., § 258.

15) ვახტანგის კან., § 95.

16) ვახტ. კან., § 203.

17) ვახტ. კან., § 42.

18) Кресть. гр., 6.

19) Церк. гудж., 56.

20) Кр. гр., 62.

21) Кр. гр., 56.

ქუჩაზე, გაელო სასტუმრო სახელად „ნეაპოლი“ და აქ თავისთვის არხეინად სცხოვრობდა, სანამ აიწეწა ხოსროევის საქმე სასამართლოში და არ გამოჩნდა, რომ «ნეაპოლის» სასტუმროს პატრონი სერგო დანდუროვი თურმე სხვა გვარით სცხოვრობდა და იგი იყო ციხიდგან გაქცეული ტუსაღი, რომელსაც ჩვიდმეტი წელიწადი დაეძებდა სასამართლო და პოლიცია. რასაკვირველია, მაშინვე დააპატიმრეს დანდუროვი. 26 მკათათვეს დანდუროვმა სასამართლოში უარი არა ჰყო თავისი დამნაშავეობა. როცა ეს საქმე ოლქის სასამართლომ გაარჩია, სერგო დანდუროვს გადაუწყვიტა ჩამოერთოს ყოველივე უფლება და გაიგზავნოს ტუსაღების როტაში ორის წლისა და ოთხის თვის ვადითაო და, თუ იქ არ იყოს ალაგი, დაპატიმრებულ იქმნას ამავე ვადით ციხეში, სადაც უნდა ამუშავებდნენ ძნელს საქმეებსა და ციხის აშენებაზეო. ამასთანვე სასამართლომ დაადგინა, რომ ოლქის სასამართლომ ბ-ნ იუსტიციის მინისტრის შუამავლობით სთხოვოს მის იმპერატორებით უდიდებულესობას, ხელმწიფე იმპერატორს, რათა სრულიად ეპატიოს სერგო დანდუროვს დანაშაულიო.

*** კავკასია თანდათან გაუტკბა ევროპას. განათლებული მოგზაურები ყოველ წლივ მოდიან ევროპიდამ კავკასიაში და იკვლევენ ჩვენს მხარეს გეოგრაფიულად, პოლიტიკურად, ეთნოგრაფიულად, ისტორიულად და სხვა გვარად. რიცხვი მეცნიერთა მკვლევართა მატულობს დღითი დღე. ეტყობა, მარტო მეცნიერნი-კი არ შესცქერიან ცნობის-მოყვარეობით კავკასიას, არამედ თვით ევროპის საზოგადოებაც ინტერესით უგდებს ყურს ჩვენის ქვეყნის ამბებს. საბუთი ამ გარემოებისა ის არის, რომ დღეს ევროპაში სხვა-და-სხვა ენებზე იბეჭდება ადვილად საკითხავი წიგნები კავკასიის ავ-კარგიანობისა. ალბათ სწორედ ამ ცნობილმა ინტერესმა დააბეჭდინა ბ-ნ ვიქტორ დინგელშტეტს ინგლისურს ენაზე წიგნი, სახელად „გეოგრაფია კავკასიისა“ (Geography of the Caucasus), რომელიც დღეს მიიღო ჩვენმა რედაქციამ.

*** ქალაქის ქურდ-ბაცაცა რაინდებს ზაფხულის სიცხე-პაპანაქებაში უფრო კარგი დარი უდგებათ. დღის სიცხისაგან შეწუხებული ქალაქელები საღამოს აღებენ ფანჯრებს და ამით სულს იბრუნებენ. ბევრი ფანჯარას ღიასაც სტოვებს და ისე იძინებს. სწორედ ამ დროს უდგებათ დარი მოხსენებულ ქურდ-ბაცაცებს. ისინი თამამად გადაცოცდებიან და რასაც-კი მოიხელავენ, არაფერს არ იწუნებენ. ერთი ამ გვარი რაინდი 26 ამ თვისას, ღამის 12 საათზე, მიბრძანებულა მამა-დავითში, გაუღია ჩანგლით ჩაკეტილი კარი, გადაბრძანებულა მხატვრების ოთახში და მაშინვე მიაარდნია კამოდს. ამ დროს გამოჰღვიძებიათ მხატვრებს, რომელნიც მამა-დავითის ეკკლესიას ჰხატავენ, გაუქნავით დაუპატიჟებელი სტუმარი და პოლიციისათვის ჩაუბარებიათ.

*** შავის ქვის ამბავიო, გვწერენ ჭიათურიდამ, ხან ასეა და ხან ისე. 1886—87 წწ. კარგი მაზანდა ჰქონდა და ბლომადაც გადიოდა საზღვარ-გარედ. შარშან და წელს-კი ძალიან დაეცა ფასი. შარშან და წელს ვაგონში დაბინავებული მარგანეცი ყვირილაში ფუთი 32 კაპიკად იყიდებოდა. ამის გამო გადამტანი შავის ქვისა ძრიელ შემცირდა. წელს კიდევ ცოტათი იმატა შავის ქვის მოთხოვნილებამ, მაგრამ, რა-კი ჩალვადრების პატრონები და ურმებისა და პოვოსკების მომუშავე ხალხი შემცირდა, ძალიან თავში ცემა და ტაციაობა შეუდგათ. ჭიათურაში ამ ჟამად 22 საწყობია გამართული შავის ქვისა. ამათში ხუთი დიდი საწყობია და ხუთ-ხუთი და ექვს-ექვსი კაცი ჰყავთ დაყენებული თითო საწყობში მარგანეცის გადასაზიდავად. მცირე საწყობის პატრონებსაც ორ-ორი, სამ-სამი კაცი უყენიათ ამავე საქმისათვის. აი ესენი, დაინახავენ თუ არა ურემს, პოვოსკას და ჩალვადრის ცხენებს, ეცემიან და ერთი აქეთ ეწევა და მეორე იქით: არა, ჩვენი ქვა წაიღე ყვირილაში, არა, ჩვენიო. ხან ეჩხუბებიან, ხან ემუქრებიან, ხან ეხვეწებიან მეურმეს და, როცა გაშტერებული მეურმე გონს მოდის და მიჰყვება ერთს, მეორე გულ-მოსული სცემს საცოდავს, რატომ ჩემთან არ წამოხვედი და რად გაჰყევი სხვასაო. ასეთი აყალმაყალი და უბედურება ტრიალებს მუდამ დღე და პატრონი-კი არავინ არის, რომ ამ უწესობას ყურადღება მიაქციოს და ერთხელ და სამუდამოდ მოსპოს.

*** სოფ. ჯავა: ჩვენ აქა გვყავს ერთი ოცნაური ქურდი. ეს ვაჟბატონი ჯერ გაგიმეგობრდება და მერე მოგპარავს ან ცხენს, ან რაიმე შინაურს საქონელსა და ავეჯეულობას. გამეგობრების დროს ათვალიერებს, სად რა ნივთიაო, და მერე იპარავს. ამას წინად ეს ქურდი გაუმეგობრდა ერთს აქ მცხოვრებელს დედაკაცს, რომელსაც იმ დროს ქმარი შინ არა ჰყავნდა, სამკელად იყო წასული ქვეით სოფლებში. მეგობარი ქურდი მივიდა და უთხრა ამ დედაკაცს: ამა-და-ამ ღამეს უნდა დაგესხან თავს და შენი ქალიშვილი გააუპატიურონ, ამიტომ მე გირჩევ სხვაგან დაწვე იმ ღამესაო. დედაკაციც გაბრიყვდა და დაუჯერა. თურმე იმ ღამეს ის ქურდი ყველაფერს წაიღებს იმის სახლიდგან, რაც რამე ებადება. შემდეგ საცოდავმა დედაკაცმა ყოველივე ეს გამოუცხადა ცხინვალის პოლიციის ბოქაულს. ბოქაულმა მიუთითა ზემოხსენებულს ქურდზე, ის ხომ არ წაიღებდაო. მაგრამ დედაკაცმა ცივი უარი განაცხადა და სთქვა, რომ ის ჩემი პირველი და კარგი ნაცნობია და ის როგორ წაიღებდაო. ეს ქურდი-მეგობარი თითონაც არა ჰმალავს და ყველას ეუბნება, რომ მე მოვიპარეო, ხოლო ხალხში-კი არ ამბობს, რომ მოწმე არავინ დაესწროს. ამას წინად ერთს კაცს უღელი ხარი მოჰპარა და მერე გამოუცხადა, რომ მე გიპოვნი, თუ სამს თუმანს მომცემო. იმანაც სამი თუმანი მისცა და მარტო ერთი ხარი მოაყვანინა, მეორე-კი დაეკლა და შეეჭამა. ისე ოსტატურად იქცევა ეს ქურდი, რომ ვერაფერს გამამტყუნებელს საბუთს ვერ უპოვნის სამართალი ქურდ-ბაცაცობის დასამტკიცებლად. შენვე ჯავრი მოგდის, როცა გელაპარაკება, როგორ მოგპარა, მაგრამ ვერაფერი გაგიწყვია, რადგანაც საბუთი არა გაქვს ხელი წაავლო და სამართალში უკრა თავი.

*** სოფ. ვანი: აქაურს ეკკლესიაში ერთი ძველი ხელთ-ნაწერი სახარებაა დაცული, რომელიც შესანიშნავია თავისის ოქროს ევარაყით ნაწერ ასოებით. ამ სახარებას ვერცხლის ბუდე აქვს, ოქროში დაფერილი. ეს სახარება ბ-ნმა სტეფანოვმა ჰნახა და სთქვა, რომ ამისთანა სახარება არც ერთს საქართველოს მონასტერში არ შემხვედრიაო. ეს სახარება ქუთაისში წაალებინა ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსმა გაბრიელმა და ეხლაც იქ არის.

*** სოფ. წევა (შორაპნის მაზრა): წელს აქაურმა ბაზრობამ მშვენიერად ჩაიარა და ვაჭრობაც ძალიან კარგი იყო. ვაჭრები ძალიან მადლიერნი წავიდნენ აქედგან. ერთი მეხუთედი ბაზრობის შემოსავლისა წევის სამრევლო სკოლას შესწირეს. წელს სოფ. წევაში და მთელს ზემო იმერეთშიაც მშვენიერი ამინდებია. იმედია, სიმინდისა და ღვინის მოსავალი კარგი იქნება.

*** თელავი: მრავალი სიმდიდრე ჩვენის ქვეყნისა შეუმჩნეველია და ამიტომ გამოუყენებელი რჩება. მაგალითად, თელავის მახლობლად, სულ შვიდიოდე ვერსის მანძილზე, შუამთის მონასტრის მამულში ორი ნავთის წყარო ამოდის. დიდი ხანია, რაც ეს წყაროები ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლებს შენიშნული აქვთ და კიდეც ეზიდებიან იქიდგან შავს ნავთს, რომელსაც სანათურად (ჭრაქებში) და ღერძებზე წასასმელად ჰხმარობენ. კარგი იქნება, ამ წყაროებს ყურადღება ათხოვონ და იმათი ავ-კარგიანობა გამოარკვიონ. იქნება ბევრი და კარგის ღირსების ნავთი გამოდგეს.

*** დ. ყვირილა: შორაპნის მაზრაში მეტად გავრცელდა ყოველ გვარი ავ-კაცობა და ავაზაკობა. თვით ყვირილაშიაც, სადაც მთავრობაც არის და დიდ-ძალი ხალხია მოთავსებული, არა ერთხელ დაორჯელ დატრიალებულა ავ-კაცობა, რაიცა გაზეთების მკითხველებს კარგად მოეხსენებათ. ამ დღეებშიაც შევესწარით ერთს უბედურებას: ამ თვის 22-ს ერთმა აქაურმა თერძმა ქუჩაზედ მოჰკლა ერთი ახალგაზდა ფრანგი ხარაზი. ისე დაჰკლა ეს საბრალო ყმაწვილი, თითქო წიწილა ყოფილიყოს.

*** სოფ. საგარეჯო: კვირას, 23-ს ამ თვისას, ჩვენმა სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს „ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარიც ვერ აჯობებსო“, კომედია 2 მოქმედებად. მოთამაშენი

---

პირველი ჩვეულება გაავრცელა ყმაზედ თავის ნებით შესულმა ბატონის მფარველობის ქვეშ; მეორე ჩვეულება გადასცა ყმას დროებით ვალის ამღებმა (nexus), რომელიც თარხნდება, რა-კი აღებული ვალი დაუბრუნა ვალის პატრონს. თუ ყმას შეეძლო გადასვლ-გადმოსვლა, ხიზანს ხომ ვერავინ დაიჭერდა. იგი იყო მოიჯარადრე — conductor[22]). განთავისუფლებული ბატონს პატივით უნდა მოჰქცეოდა, სიყვარული და სალამი არ უნდა მოესპო იმისთვის, როგორც libertinus'ს რომში[23]).

როგორც ბატონ-ყმობა მტკიცდებოდა „წიგნით“ და შემდეგ სახელმწიფო «დავთარში» ჩაწერით, აგრეთვე გაზატება ყმისა თხოულობდა ხელმოწერილს ბატონისა და მოწმების მიერ მტკიცე სიგელს: „პატრონმან რომ ყმას თავი დაახსნევინოს და ბატონით და თავისის ბეჭდით წიგნი მისცეს, ის სწორე დახსნილი იქნება; ხელი აღარა აქვს ამასთან და, თუ კარგი რამ სჭირს, ხანდახან ქმსახურობს, არავინ დაუშლის; თუ წიგნი არა აქვს და უწიგნოთ გამოურთმევია რამ და სიტყვებით დაპირებია, ყმა სტყუის, ყმაც ბატონისა არის და საქონელიცა: ყოველი აზატი, დასძენს ვახტანგი, სარწმუნო მოწმებით და წიგნით მტკიცდება“[24]).

აქ ვხედავთ, რომ ფორმალურს მხარეს გაზატებაში დიდი მნიშვნელობა აქვს, წიგნი ბატონის ბეჭდით და სარწმუნო მოწმებით დამტკიცებული ათარხნებს კაცს. თუ ეს დოკუმენტი არა აქვს, მაშინ ყმა „სტყუის“, იგი აზატი არ არის. განთავისუფლებას ყმისას ყოველთვის დიდის ცერემონიით იხდიდნენ. ფრანკები მეფის თანადასწრებით ათარხნებდნენ ყმას „per denarium“, ყმას ხელიდგან გააგდებინებდა ბატონი დენარიას და ამით იმის სასყიდელს ვითომ იღებდა და იმას-კი ანთავისუფლებდა. რომში 5 მოწმის თანადასწრებით უნდა მომხდარიყო ყმის გაზატება, როგორც ვკითხულობთ იუსტინიანის დიგესტებში[25]).

ბატონი ანთავისუფლებდა ყმას ან სამადლოდ, ან თავის სულის მოსახსენებლად სიკვდილ შემდეგ „წიგნით“. თუ ეს უკანასკნელი განზრახვა ჰქონდა ბატონს, მაშინ იგი მოხსენებული უნდა ყოფილიყო წერილში, რა „ალაპი დაადვა, ან რა სულის სამსახური“[26]); წერილში უნდა ყოფილიყო მოხსენებული, რა საქონლით, რა „მამულით გაზატა თავისი ყმა“[27]). მაშასადამე, ჩვენში ძველის-ძველადვე მიღებული იყო გაზატება მამულით. კარგად ცნობილია, რა კამათობა გამოიწვია მე-60 წლებში რუსეთში იმან, რომ მამულით თუ უმამულოდ განთავისუფლებულიყო ყმა[28]). ალბუღამ ხომ გლეხის განთავისუფლება მხოლოდ მამულით იცის[29]).

თუ ყმა ეკუთვნოდა ერთს ბატონს სიკვდილამდის—ასე მესმის მე „личный“ ყმა 1794 წ. სიგელისა[30]),—მაშინ იგი თავისუფლდებოდა, როცა „ბატონი“ აღარ ჰყავდა. ნათესავებს ამისთანა ყმასთან „ხელი არა აქვს“. თუ ყმა ეკუთვნის მთელს გვარეულობას, მაშინ ყმის განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ სუყველას ხელის მოწერით გაზატების ბარათზედ; «თუ არა იყო სათავისთავო, ან თავის ზითვით ნასყიდი, საძმო და სასახლო იყოს, მარტო თითონ არ შეუძლია აზატი ჰყოს, ყველას მოსამსახურე იქნება, არა მარტო იმის, იმან რომ კიდეც მისცეს აზატი, თუ სხვებმა დაუმტკიცეს. ამისთანა აზატი სადაოა, დაუმტკიცებელი იქნება და არც გაუთავდება“[31]). ეკკლესიას ევროპაში და ჩვენშიაც დიდი მოღვაწეობა მიუძღვის ყმის გათარხნებაში და იმის კაცობრიულის ღირსების აღდგენაში.

2) ყმას შეეძლო თითონ გამოესყიდნა თავი. ესეც შეიძლების, ბატონმა „ყმას თავი დაახსნევინოს“[32]). თავის გამოხსნაში გლეხი იხდიდა ხარჯს. ბატონი ართმევდა იმას, რამდენიც ენებებოდა; ხან-კი ყმას იაფად უჯდებოდა გაზატება: საკმარისი იყო მიერთმიათ ყევარი ხარი, ან კარგი ცხენი, ან ფულად რამდენიმე მარჩილი, რომ გათარხნების წიგნი მიელო, „მოწმებით“ დამტკიცებული[33]).

3) თუ ბატონმა ყმა დასჭრა და უკანასკნელმა ბატონის ყმობა აღარ ინდომა, ცოლ-შვილით აზატი ხდება; თუ დაჭრილი გლეხი სასიკვდილოდ დაიკოდა, მაშინ იმისი ძმები და ნათესავებიც თავისუფლდებიან: ძმასა და სახლის კაცს თუ არ სიკვდილისათვის, გახეიბრებისას ვერავინ გამოართმევს[34]).

4) თუ ბატონი, დაჭრილი თავის ყმის ხელით, არ დაკმაყოფილდა იმით, რომ მან გადიხადა ბატონისთვის სისხლი და დამჭრელი ყმა ბატონის მიერ დამახინჯებული, ან მოკლულ იქმნა ამ დანაშაულისთვის, მსაჯული კანონით ანთავისუფლებს ყმის ოჯახს ყმობისაგან[35]).

5) ყმა, რომლის ქალი გაუპატიურებული იქმნა ბატონისგან, ხდება თარხანი ცოლ-შვილით და გადადის სახასო გლეხად[36]).

6) თუ ყმა ტყვეობისაგან თავის დაუძინებელის მეცადინეობით იხსნის თავს, იგი ხდება აზატი[37]). შვილი-კი დაბადებული ტყვეობაში რჩება ბატონის ყმად.

7) თუ ყმამ, ბატონის მიერ დაგირავებულმა ვალში, თავის ხარჯით გადაწყვიტა პატრონის ვალი, თარხანია ბატონისგან[38]).

8) თუ ბატონი ყმას აწუხებდა მეტის გარდასახადით და სამსახურით და მეტის-მეტსა სთხოვდა, მაშინ ყმა უკანონოდ თარხნდებოდა: იპარებოდა სხვის მამულში ხიზნად და შემდეგ, მეფის განკარგულებით, სითარხნე უმტკიცდებოდა[39]).

განთავისუფლებას ყმისას ვხედავთ უბატონო მამულისაგან. გაზატებული მაინც უნდა შეჰფარვოდა ვისმე. იმ დროს აღელვებულს ცხოვრების ზღვაში არ შეიძლებოდა ხელ მოკლე კაცი „უპატრონოდ“ დარჩენილიყო; ამიტომ გათარხნებული ყმა შედის ან სახასო, ან საეკკლესიო ყმად თავის სურვილით[40]).

ა. ხახანაშვილი

(შემდეგი იქნება)

22) Кр. гр., 24.

23) Brosset. Introductiou, 82. (salut et amitié).

24) ვახტანგის კან., § 260.

25) შ. Un., § 1. C. de Lat. lib. tol. (7,6).

26) ვახტანგის კანონები, § 234.

27) l. c.

28) Семевскій. Крестьянскій вопросъ.

29) ალბუღას კან., 57.

30) რუსეთში ასეთი ყმობა „по смерть господина“ კარგად ცნობილია.

31) ვახტ. კან., § 235.

32) ვახტანგის კან., § 260.

33) Brosset. Introduction, 82; Кр. гр., 11.

34) ვახტ. კან., § 95.

35) ვახტ. კან., § 258.

36) Кр. гр., 38.

37) Обычай при груз. царяхъ, § 62; Кр. гр., 77; Brosset. Iutrod., 83.

38) Кр. гр., 74.

39) Кр. гр., 105, 107, 114.

40) Церк. гудж., 65; Кр. гр., 41, 45; Brosset. Introduction, 82.

იყვნენ შემდეგნი: ს. ქურდოვანიძე, დ. ქურდოვანიძე, გ. ქურდოვანიძე, დ. ნახუცაროვი, ქ. მ. ჩუტლაძე, ქ. მ. ქურდოვანიძე. წარმოდგენაზე მრავალი ხალხი დაესწრო და დიდად მადლობელიც დარჩა. იმედია, ეს ჩვენი სცენის მოყვარენი არ დაგვავდებენ გულ-ნაკლულად და ერთხელ მაინც კიდევ გვაღირსებენ ამ გვარს წარმოდგენას. წარმოდგენის შემდეგ ბ-ნმა ქურდოვანიძემ წაიკითხა ქართული ლექსი „წარვედ წყლისა პირს", ბ-ნ ქურდოვანიძემ — „ძველი დმანისი" და დ. ნახუცაროვმა «ყინვა და პატარა მოწაფე». წარმოდგენის შემდეგ ითამაშეს ლეკური დ. ნახუცაროვმა, ქ. მ. ქურდოვანიძემ და ქ. მ. ჩუტლაძემ. ამ გზობით წარმოდგენა უფასო იყო.

*** **სოფ. გოდოგანი** (ქუთაისის მაზრა): 12-ს მაისს ერთს მწყემსს უძოვებია ხარები წყალ-წითელას ნაპირებზე. როდესაც მიახლოვებია ერთს დაბურულს კლდეს, რაღაც ცუდი სუნი უგრძვნია და კაცის ქუდი უპოვია. ცოტა არ იყოს შეშინებია. კიდევ ცოტა რომ გაუწევია, ძირს გადუხედავს და ორი ერთმანეთს ჩახუტებული კაცი დაუნახავს კლდის ძირში მიგდებული. ჯერ ცოცხლები ჰგონებია და ბევრი უძახნია, მაგრამ შემდეგ, როცა დარწმუნებულა, რომ მკვდრები არიანო, შინ წამოსულა სოფლის შესატყობინებლად. ის ადგილი, სადაც ეს კაცები ენახათ მკვდრები, და საზოგადოდ მოწამეთის მონასტრიდგან დაწყებული ხიდამდე სალი კლდეებია, რომლებიც ჩაშვებულნი არიან წყალში, და ბევრია აგრეთვე მიუვალი ხევები, ჯაგნარი, ოღრო-ჩოღრო და დაბურული ადგილები, რომლებშიაც მიიკლაკნება წყალ-წითელა. ბევრის ყაჩაღის მფარველია ეს კლდეები. აი სწორედ ერთს ამ მიუვალს ალაგს ეპოვა მწყემსს ორი ბოროტის ხელით მოკლული ადამიანი. ყოველივე ღონისძიება იხმარეს, რომ როგორმე ეპოვათ ავაზაკები, და დიდი ხანი არ არის, რაც სამი დამნაშავე აღმოაჩინეს. აი საქმე როგორ ყოფილა: ხუთი ყმაწვილი წამოსულა ტფილისიდგან ქუთაისს ადგილების საშოვრად. სამი კიდეც დამდგარა, ერთი სანთლისა და ორიც თამბაქოს ქარხანაში და ორი უადგილოდ დარჩენილა. სამს-კი იმ ორისათვის, რომლებიც უადგილოდ დარჩნენ, უძლევიათ თამბაქო და წმინდა სანთელი; ამათ ნამალევად უტარებიათ ქალაქებსა და დაბებში და ჩუმად უყიდნიათ, ასე რომ კარგა ბლომა ფული შეუგროვებიათ. ერთს დღეს, მაისის 7-ს, ხუთივე წყალ-წითელასკენ უნდა წამოსულიყვნენ იმ ფულების გასაყოფად. აქ ლაპარაკი მოსვლიათ და სამს ის ორი, რომლებიც უადგილოდ იყვნენ, დაუხოცნიათ. ხუთის დღის შემდეგ მწყემსმა იპოვა ეს ორი გვამი სულ წამხდარი, ასე რომ სახეს ველარ გაარჩევდა ადამიანი. თურმე ეს სამი სწერდნენ ქალაქში იმ ორის ნათესავებს, რომ ისინი საზღვარ-გარეთ გავიდნენ და ნუღარ ელითო; ის-კი არა თუ, საწყლები ერთი ხანჯლითა და მეორე ოთხის რევოლვერის ტყვიით გამოასალმეს ამ წუთი-სოფელს.

*** **ახალციხე**: საზოგადოდ ახალციხის მაზრა ძალიან მდიდარია სხვა-და-სხვა სამკურნალო წყლებით. ერთი ამ გვარი წყარო შიგ ახალციხეშია, ქალაქის ძველს ნაწილში — რობათში. ეს წყალი დღემდე სრულიად უპატრონოდ იყო მიტოვებული. იგი ერთობოდა სხვა პატარა წყაროებს, გუბეებს და ამიტომ თავისს ძალასა და თვისებას ჰკარგავდა. ამ ზაფხულის დამდეგს ბ-ნი თომა ფაფაქიშვილი შეუდგა ამ წყაროს გასუფთავებას, გაწმინდა, გაასუფთავა და გაუკეთა თიხის მილები. ამას შემდეგ წყარომ თავისი ძალა გამოიჩინა და ამიტომ ბ-ნმა ფაფაქიშვილმა საკუთარის ხარჯით გააკეთა უფასო აუზი. ამბობენ, ეს წყარო უფრო შაკიკითა და თვალის ტკივილით ავადმყოფებს ჰკურნავსო.

---

## ხმა რიონის მარცხენა მხრიდამ

სოფ. ვანში (ქუთაისის მაზრაში), პატარა მთა-გორიანს ადგილზე, სახლობენ აზნაური ახვლედიანები. დიდი ხანია, რაც ხმა იყო გავრცელებული, ვითომ ამ ახვლედიანების ეზოებში ხშირად, ნამეტურ ავდრების შემდეგ, ჰპოულობდნენ სხვა-და-სხვა ძველ ნივთს — ოქროსას თუ ვერცხლისას. ეს ხმა მართალი გამოდგა, თითონ ჩემის თვალითა ვნახე აქ ნაპოვნი ვერცხლისა და ოქროს ნივთები. ეს ხმა შორს გავარდა და ბევრი მუქთად გამდიდრების მიმდევარი მიიზიდა ამ სოფელმა. ბევრმა მოინდომა ამ ახვლედიანების ეზოების მოთხრა იმ იმედით, რომ აქ ვიპოვნით ბევრს ძველს, ძვირფასს ნივთსაო, მაგრამ ახვლედიანები როგორღაც ვერავის ვერ მოურიგდნენ. ვაითუ ეზოები ტყუილ-უბრალოდ მოვსთხაროთ, სამოსახლო წავახდინოთ და ვერაფერი ვიპოვოთო. სხვათა შორის ძალიან ჰსურდა აელო ეს ეზოები თავ. გ. შერვაშიძეს, რომელიც ორჯელ კიდეც მობრძანდა სოფ. ვანში, მაგრამ ვერ მოურიგდა მემამულეებს. ნათქვამია — „შინაურს მღვდელს შენდობა არა აქვსო", და ნამდვილადაც ახვლედიანებმა შეასრულეს ეს ანდაზა. თავ. შერვაშიძე სწორედ სინიდისიერად ევაჭრა ახვლედიანებს, მუშა და მუშის ქირა, თუ საჭიროება მოითხოვდა, სახლების გადატანისათვის და ყოველ-გვარი ხარჯი უნდა ეზღო თავ. შერვაშიძეს. თუ რასმე აღმოაჩენდა, მესამედი ახვლედიანებს უნდა წაელოთ, ხოლო ორი წილი შერვაშიძეს. თუ არაფერი აღმოჩნდებოდა, ხარჯი საკუთრად იმისი იქნებოდა. ახვლედიანებ შორის ერთი გავლენიანი კაცია და ამ კაცის წყალობით როგორღაც არ მოხერხდა ეს საქმე. ამბობენ ბოროტი ენები, ვითომ ამ კაცს გასამრჯელოდ ასი თუმანი უთხოვია თავ. შერვაშიძისათვის. თავ. შერვაშიძეს ეს არ მოეწონა და საქმე დაირღვაო.

შემდეგ თავ. შერვაშიძისა მოვიდა ვიღაცა ფრანგი იაკობი. ამან-კი საქმე როგორც უნდოდა, ისე მოიგდო ხელში და კიდეც შეჰკრეს ისეთი პირობა, როგორიც წინად მოგახსენეთ. ეს კაცი აქ დიდი ვინმე და დიდი მეცნიერიც ჰგონიათ, არ ვიცი-კი რა საბუთით. ამ ჟამად ახვლედიანების ეზოები ამ ფრანგის იაკობის ხელშია; თავის თავს რაღაც «კამპანიის» მოთავედ ასახელებს. რა კამპანიაა ეს კამპანია, ან აქვს შეძლება თუ არა, ეს არავინ იცის. სხვა რა მოგახსენოთ და შეძლებაზედ-კი ეს ვითომც-და «კამპანია» და იმისი წარმომადგენელი „მუსიე" „აკოფი", როგორც აქ ადიდებენ, ცოტა სუსტად ბრძანებულა. ამას ეხლავე გაგაგებინებთ. ამ „კამპანიის წარმომადგენლთან ერთად მონაწილეობას ღებულობს „მოსკოვის საარხეოლოგიო საზოგადოების წევრი ბ-ნი სტოიანოვი (ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი), რომელიც ისე იქცევა, თითქო ახვლედიანების ეზოების „დირექტორიც" იყოს!..

პირობის ძალით მუშაობა უნდა დაეწყოთ პირველ მაისიდამ, მაგრამ ჯეროვანი მუშაობა ჯერაც არ დაუწყიათ, თუმცა რამდენიმე კაცი-კი ამუშავეს ცოტა ხანს და მოსთხარეს რამდენიმე ადგილი. არც ამ ცოტა მუშაობას ჩაუვლია უქმად. ბევრი ღირს-შესანიშნავი ძველი ნაშთი იპოვეს, რომელიც საზოგადოდ არხეოლოგიისათვის და განსაკუთრებით ჩვენის ისტორიისათვის ძვირფას მასალად უნდა მივაჩნიოთ. სხვათა შორის არშინ-ნახევარზე მიწაში იპოვეს ერთი ქვითკირის კარგა მოზრდილი დაურღვეველი შენობა, რომელსაც ირგვლივ ქვითკირისავე გალავანი აქვს შემოვლებული. თითონ შენობა რამდენიმე საჟენი იქნება სიგრძით, სიგანე უფრო ნაკლები აქვს. სახურავი ქვისავე აქვს, ეკკლესიის მსგავსად თაღად და თაღად შეკრული. ერთს ადგილს, ეტყობა, კარი უნდა ჰქონდეს. სიმაღლით საჟენზედ ცოტა მეტია. რაც შეეხება სიმაგრეს, ისე გადადუღებულა ქვა-კირი, რომ წალკატითაც ვერ ამოამტვრევთ მუჭის ოდენა ქვას. „მუსიე" იაკობს უნდოდა ეს შენობა გაეხსნა და შეეტყო რა განძითაა სავსეო, მაგრამ ახვლედიანებმა უთხრეს, ჯერ მუშები გაისტუმრეთ და შემდეგ გავხსნათო. ეს არ მოეწონა „მუსიოს": ჯერ გავხსნათ და მერე მუშებს გავისტუმრებო. რაღა გავაგრძელო, აღმოჩნდა, რომ ამ ვითომც «კამპანიის» წარმომადგენელს ას ოცის მანეთის გადახდაც გაუძნელდა. ხუთის თუმნის მეტი არა ჰქონდა და ახვლედიანებს სთხოვა: დანარჩენი შვიდი თუმანი თქვენ დაუმატეთ, მუშები გავისტუმროთ და ნაპოვნი შენობა გავხსნათო. რასაკვირველია, ახვლედიანები მიუხვდნენ ამ ვაჟბატონს: თუ გავხსენით და შიგ არაფერი არ აღმოჩნდა, ეს „მუსიო" მოჰკურცხლავს და მუშები ჩვენ დაგვრჩება გასასტუმრებელიო. ამ გვარად ეს შენობა აგერ სამი კვირა იქნება გაუხსნელია და მუშაობაც შეჩერებული. თითონ «მუსიო» სადღაც მიეფარა. ამბობენ, ქუთაისში არისო და ვითომც „კამპანიიდამ" ფულს ელოდებაო. ვნახოთ რა იქნება. ყოველს შემთხვევაში სასაცილო-კია, რაღაც ას ოცი მანეთი ვერ მოახერხა ხსენებულმა ვაჟბატონმა, რომ საწყალი მუშები გაესტუმრებინა. ბ-ნი სტოიანოვი, რომელიც, როგორც ზევით მოგახსენეთ, მონაწილეობას ღებულობდა ამ საქმეში (სტოიანოვს ეს შენობა ჯერ არ უნახავს), ეს ხუთი კვირაა რაც რუსეთში მოგზაურობს და შეიძლება იმის დაბრუნებას უცდის ეს ვიღაც ფრანგია! მაგრამ მუშები რა შუაში არიან? რატომ არ აძლევენ ნათლარს? ამ გვარად ეს ამისთანა დიახაც შესანიშნავი საქმე ამ გვარს კაცს ჩაუვარდა ხელში! არა სჯობდა თავ. შერვაშიძისათვის მიეცათ, რომელსაც შეძლება ჰქონდა მუშაობის წარმოებისაცა და გაგებაც! მაგრამ აკი მოგახსენეთ: «შინაურს მღვდელს შენდობა არა აქვსო!»

ამ შენობის გარდა იპოვეს კედლის მსგავსად ჩაწყობილი ბევრი გათლილი ქვა ½—1 და მეტის არშინისა სიგრძე-სიგანით, ორი ქვევრის მსგავსი ორ-ხელიანი თიხის ქილა (ერთში რაღაც დამპალი შავი მარცვლები ეყარა. სტოიანოვის სიტყვით, ხორბალი უნდა იყოს), ორი გულ-ამოჭრილი მორგვალო მარმარილოს ქვა და სხვა ბევრი ნამტვრევი სხვა-და-სხვა თიხის ჭურჭლისა, რომელიც ისე ხელოვნურად არის ნაკეთები, რომ მნახველს აოცებს. როგორც მცოდნე კაცები ამოწმებენ, აქ უნდა სახლებულიყვნენ ბერძნები ქრისტეს წინად. ამას ამტკიცებს აქვე ნაპოვნი: ორი (ერთი ოქროსი და მეორე ვერცხლის) ფული (წინათ ბევრი ოქროს და ვერცხლის ფული, თუ ნივთი უპოვნიათ ახვლედიანებს, მაგრამ თავისის უცოდინარობით მუქთად დაუკარგავთ). ვერცხლის ფული ახალის რუსულ მანეთიანის ოდენაა, ოთხი მისხალია წონით, ერთი გვერდი გამობერილი აქვს და ზედ მშვენივრად და ხელოვნურად არის ამოჭრილი ქალის თავი, რომელსაც თმა გაშლილი აქვს და შუბლსა და ყურებზე «ლენტი» აქვს გადაყოლებული. მეორე გვერდზედ აწერია „Basilevses eupatoros", შუაში ცხენის მსგავსი ფრთებიანი მოგრძო ცხოველია ამოჭრილი და ერთს მხარეს ახალი მთვარე და შიგ ვარსკვლავი.

ოქროს ფული პტყელია ორივ გვერდით, ქართულის ორ-აბაზიანის ოდენაა და თითქმის იგივე ნიშნებია ზედ, რაც ვერცხლისაზედ. ბ-ნ სტოიანოვის აზრით, ორიოდე ათასის წლის მოჭრილი უნდა იყოს. რადგანაც ამის წინადაც ბევრი ამ ფულების მსგავსი ფული უპოვნიათ ახვლედიანებს (ორი ფული თითონ ჩემის თვალით ვნახე) და სხვა ოქროს თუ ვერცხლის ძვირფასი ნივთები და აგრეთვე დღესაც ჰპოულობენ მუშაობის დროს გადანადუღებ ოქროს, თუ ვერცხლის დანაშთ ნაწილებს (ჩვენებურად „რკინა-წილას" ეძახიან. რკინა-წილა, სამჭედურში რკინის დუღების შემდეგ რომ ნაწილები დარჩება, იმასა ჰქვიან), ჯერ-ჯერობით იმ აზრისანი არიან მცოდნე კაცები, ვითომ ახვლედიანების ეზოში ბერძნები სახლებულან ქრისტეს წინად და აქ გამართული ჰქონიათ ოქროს და ვერცხლის მადნის გადასაკეთებელი და ფულის მოსაჭრელი ქარხნები.

ახლო-მახლო სოფლებში ხშირად ჰნახავთ სხვა-და-სხვა გვარს მიწას, რომელშიაც რაღაცა ყვითელი თუ თეთრი ბრწყინვალე ნაწილებია. სიმძიმეც მეტია ამ ნაირის მიწისა. ეჭვი არაა, რომ რაღაც მადნეული უნდა იყოს, მაგრამ ვინ არის ისეთი მცოდნე კაცი, რომ მიიღოს შრომა და გამოიკვლიოს ეს მიწები. ვინ იცის რამდენი სიმდიდრეა ამ მიყრუებულს საჩინოში?! ვინ იცის, ეგებ ამ ნაირსავე „მუსიოს" ჩაუვარდეს ხელში მუქთად ეს საიდუმლოებით მოცული ადგილები. დროა მცოდნე ქართველები ჩაუკვირდნენ ამ ადგილებს და არ ჩაუგდონ ხელში საქმის უცოდინარს კაცს.

მივუბრუნდეთ ისევ ახვლედიანების ეზოებს. როგორც მოგახსენეთ, ჯერ თითქმის ორი კვირაც არ უთხრიათ მიწა და ამდენი ღირს-შესანიშნავი რამეები იპოვეს, და რიგიანად და ენერგიულად რომ მოჰკიდონ ხელი, რასაკვირველია, ბევრს საუნჯეს იპოვნიან. საინტერესოა რა აღმოჩნდება იმ შენობაში, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, იპოვნეს მიწაში და რომელიც ჯერ ხელ-უხლებლად არის. როგორც-კი გახსნიან, მაშინვე წერილით ყოველსავე დაწვრილებით შევატყობინებ მკითხველს.

თან-ნარელი

---

## წვრილი ამბები

15 მკათათვეს, შუადღისას, ბუკინჰამის სასახლის ეკკლესიაში ჯვარის-წერა ყოფილა პრინცესა ლუიზა უელსისა და ლორდის ფეიფისა. სტუმრად მიწვეული 200-მდე ყოფილა და იმათ შორის რეულან სალისბერი, გლადსტონი, გრენვილი, გარტინგტონი, გოშენი და როზბერი. საქორწინო პროცესიის გავლის დროს წინ მიდიოდა თურმე სამღვდელოება არხიეპისკოპოსის კენტერბიურიელის მეთაურობით, იმას მისდევდა პრინცესა უელსისა თავისის ორის შვილითა და მმით, საბერძნეთის მეფისა და დანიის მემკვიდრე პრინცით. 12 საათი იქნებოდა, რომ ეკკლესიაში შევიდა დედოფალი დიდის ჰერცოგის ესენისითურთ და ამათ უკან მიჰყვებოდნენ სასახლის წარჩინებულნი მოხელენი. ამათ მისდევდა თვით სანეფო, ფეიფი, თავის მეჯვარე ჰორკვრითურთ. პატარა ხანს შემდეგ გამოჩნდა პატარძალიც, რომელიც მამას პრინც უელსისას მოჰყავდა. საპატარძლოს მოსდევდნენ: ორი თავისი და, ორი ქალი პრინცის ქრისტიან შლეზვიგ-ჰოლშტეინისა, პრინცესა ვიქტორია ტეკკი და სამი ქალიშვილი გრაფის გლეიხენისა. ჯვარ-წერასა და სამსარს შემდეგ ახლად დაქორწინებულნი წავიდნენ ჯერ მალბოროგოუზში და შემდეგ შანგოუზს რიჩმონდში, სადაც ერთი თთვე უნდა გაატარონ.

— ინგლისში ყოფნის დროს სპარსეთის მბრძანებელს შაჰ-ინ-შაჰს შეუტყვია, რომ გლადსტონი, რომელმაც ეს არის ეხლა იდღესასწაულა ორმოც-დაათის წლის ჯვარის-წერის დღეობა, ძალიან ჯან-საღად არის და კარგა დიდს მანძილსაც დადის ხოლმე ფეხითაო. „მახლასო, უთქვამს სპარსეთის ბატონს: სჩანს სამოცს წელიწადს ერთს ცოლთან ცხოვრება სჯობნებია ერთს წელიწადს ორმოც-და-ათს ცოლთან ცხოვრებასაო!"

— ტურინის სასამართლოში ამას წინად ერთი საყურადღებო საქმე გაურჩევიათ. სასამართლოს წინაშე წარსდგა თურმე ერთი ფრიად ლამაზი ქალი, ბანკის პატრონის დინის ცოლი. დინი კარგა შეძლებული კაცი იყო, მშვენივრად სცხოვრობდა და მარტის თთვეში უეცრად გაკოტრდა. ამის გამო გაკოტრებულმა თავის მოწამლვა მოინდომა, მაგრამ ქმრის ჩქარა მიაშველეს და სიკვდილს გადაარჩინეს. ამასობაში დინს დიდი ვალი ჰქონდა პარიჟის ორის ბანკის პატრონისა. ამათ უნდოდათ მოვალე ენახათ, მაგრამ ცოლი არ უშვებდა თურმე იმ მიზეზით, რომ ჩემი ქმარი ავად არის და ეხლა ნუ შააწუხებთო. ამათ ჰგონებიათ, გაპტუუბენ, ის ავად არ უნდა იყოსო, და აღდგომის პირველს დღეს მისულან. ქ-ნს დინი მაინც გზაზედ გადაჰღობებია ორივეს, დამბაჩა აუღია და იმათ შესაშინებლად განგებ ჰაერში დაუცლია კიდეც. მაშინ ორივე ბანკის რწმუნებულნი მისცვივნიან ქალს და წაურთმევიათ დამბაჩა. ქალს სანადირო დანისათვის წამოუვლია ხელი. კონ-კალიი მივარდნია დანის წასართმევად, დაუწყიათ ბღლარძუნი და ორივენი იატაკზედ დაცემულან. ამ დროს რწმუნებულს

ბანკისას უგრძნია, რომ დანა გვერდში შერჭმია. ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩენილა. კოენ-კალიის მაშინვე გამოუცხადებია ნასმობ პოლიციელისათვის, რომ თავი ჩემისავე გაუფრთხილებლობით დავიჭერი და ჩემს სიკვდილს ნურავის დასდებთ ბრალადაო. ქ-ნი დინი მაინც დააპატიმრეს და სამართალში მისცეს. სახელმწიფო ბრალმდებელი ამტკიცებდა თურმე, რომ მაგ ქალს წინადვე მოსაზრებული ჰქონდა კოენ-კალიის მოკვლა და ამიტომ ისევე უნდა იქმნას დასჯილი, როგორც უველა კაცის მკვლელს სჯიან ხოლმეო. სასამართლოში დამნაშავის დამცველს მშვენიერი სიტყვა წარმოუთქვამს, ნაფიცნი მსაჯულნი თავისკენ გადუბირებია და ამიტომ სასამართლოს ქ-ნ დინისთვის მხოლოდ ორის თვით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვეტია. როცა ეს განაჩენი წაუკითხავს თავმჯდომარეს სასამართლოსას, ხალხში დიდი ტაშის ცემა და ვაშა-ვაშას ძახილი ატეხილა.

— ინგლისის პარლამენტის რამდენსამე წევრს თანხა შეუდგენია სომხების სამამულიშვილო საზოგადოების დასახმარებლად ლონდონში.

— ვენის „Politische Correspondenz“-ს სწერენ ლონდონიდგან: ინგლისის მინისტრებს, სხვათა შორის, სპარსეთის შაჰთან მოლაპარაკება ჰქონდათ, რომ სპარსეთი ხელ-შეუხებელ სახელმწიფოდ იქმნას გამოცხადებულიო.

— კორეაში სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ ამერიკელ მისიონერის ქალისთვის, გვარად გერონისთვის, მკვიდრთა გაქრისტიანებისათვის.

— ბერლინში ქალები ყოველ დღე ხმარობენ თურმე: 505 გირვანქა პუდრს, 290 გირვანქა ფერ-უმარილს, 150 გირვანქა წარბების საღებავს, 125 გირვანქა ტუჩების პომადას, 70 გირვანქა გლიცერინს და 40 გირვანქა კოლდ-კრემს.

## დეპეშა

28 მკათათვე

პეტერბურგი. უწმინდესმა სინოდმა შეიმუშავა წესი და პროგრამა მკურნალობის სწავლებისა სასულიერო სემინარიებში.

მზადდება წესდება, რომლის შემწეობითაც პასპორტების მაგიერ უნდა დააწესონ საპასპორტო დავთრები.

ბერძენთა პრინცები ნიკოლოოზ და ანდრია გიორგის ძენი საზღვარ-გარედ წავიდნენ.

ლონდონი. გერმანიის იმპერატორმა ინება, რომ პარასკევამდე კიდევ დარჩეს ინგლისში.

პეტერბურგი. უმაღლესის მანიფესტით გამოცხადდა, რომ 26 ივნისს პეტერგოფში იქორწინა დიდმა მთავარმა პეტრე ნიკოლოოზის ძემ და ჩერნოგორიის მთავრის ასულმა მილიცამაო. დიდის მთავრის პეტრე ნიკოლოოზის ძის ქორწინებამდე დაინიშნა ჰერცოგი ლეიხტენბერგისა გიორგი მაქსიმილიანეს ძე ჩერნოგორიის მთავრის ასულს ანასტასიაზე.

უფრო კარგის მეციხვანე ჯარისა იწერებით დეპეშით, რომ 30 ივნისს ხელ-მეორედ სცადეს მოკვლა აბდურახმანისაო. ესროლა თოფი ჯარის-კაცმა და ხელში დასჭრა ემირიო.

პარიჟი. 2000 უცხოელი და აქაური სტუდენტი, ძველებურად ჩაცმულნი დროშებით ხელში, წავიდნენ პასტერთან დღეს დილით სალამის მისაცემად. დიდის ამბით და ალტაცებით მიესალმნენ და ჰყვიროდნენ: „გაუმარჯოს პასტერსაო!“ პასტერს გული აუჩუდდა და მადლობა გადაუხადა ახალგაზდობას პატივცემისათვის; მერე უცხოელ უნივერსიტეტების დელეგატებს მიჰმართა და უთხრა, რომ საფრანგეთი არასოდეს არ დაივიწყებს იმ თანაგრძნობას, რომელსაც თქვენ უცხადებთო. დასასრულ პროფესორმა სთქვა: „პატივის-ცემით ვიხრი თავს თქვენი დროშების წინაშე მაგ თქვენ სამშობლოს ნიშანთა წინაშეო“.

პეტერბურგის ბირჟა, 25 მკათათვე.

| | მოთხოვნილება. | გამყიდველობა. | გაყიდულობა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 71 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 153½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 11 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 263½ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 245 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულკავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი


გამოვიდა ცალკე წიგნად და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ვაჟა-ფშაველას (ლ. რაზიკაშვილის)

„მოთხრობანი“

ფასი 30 კაპ.

ამავე მაღაზიაში ისყიდება

ი. გ. ჭავჭავაძის

მოთხრობა

„გლახის ნაამბობი“

ფასი 25 კაპ.

(10—10)

„საჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმით და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს არ იხდიან.

(52—22)

ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ცხოვრება ღირსისა მარიამ მეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . . . | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . . | „ | 20 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა . . . . | „ | 50 |
| დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ . | „ | 15 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| ოტელლო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | ,, | 50 |
| მცხეთისტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა. . . . . . . . | „ | 25 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეკ. გაბაშვილისა . . | „ | 10 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა . . . | „ | 5 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . . | „ | 30 |

## „საქართველოს კალენდარის“

რედაქციისაგან:

„საქართველოს კალენდრის“ რედაქცია უკვე შეუდგა 1890 წლის კალენდრის შედგენასა და საჭირო მასალის მომზადებას. კალენდრის სისრულისა და სავსებისათვის საჭიროა მრავალ გვარი საქართველოს შესახები ცნობა და მასალა, ბეჯითად და ზედ-მიწევნით გამოძიებული. ამიტომ რედაქცია მიჰმართავს ყოველს ქართველს, ვისაც-კი შეძლება აქვს თავის სამსახურისა და მდგომარეობის გამო რომელიმე წყება და რიგი იმ ზედ-მიწევნილთა საკალენდარო ცნობათა და მასალათა შეიტყოს და მოიპოვოს, მოგვაწოდოს და ამით ჩვენც დაგვავალოს და ჩვენს საზოგადოებასაც, რომელსაც ასე ძალიან ეჭირვება ყოველისფრით სრული, სავსე და ვრცელი საკალენდარო წიგნი. თავის მხრით რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ ბეჯითად მოეკიდოს ამ რთულს საქმეს, აიცილოს თავიდამ ის ნაკლებულება, რომელიც პირველ ხანში ძნელად ასაცილებელი იყო, და სამერმისოდ უკეთესი კალენდარი შესძინოს ჩვენს საზოგადოებას.

—

ზემოხსენებული ცნობა და მასალა სასურველია მოუვიდეს რედაქციას 15 სექტემბრამდე.

—

რედაქცია დიდის მადლობით მიიღებს ყოველ გვარს სალიტერატურო ნაწერს და ცალკე გამოკვლევას კალენდრის სალიტერატურო განყოფილებაში დასაბეჭდად.

—

რედაქცია მიიღებს კალენდარში დასაბეჭდად ყოველ გვარ განცხადებას როგორც ქართულსა, ისე რუსულსა და სხვა ევროპულს ენაზე შემდეგის პირობით: ერთი გვერდი წიგნის თავში ღირს 12 მან., ნახევარ გვერდი—7 მან. წიგნის შუაში ერთი გვერდი 10 მან.- ბოლოში—6 მან. წიგნის ბოლოში: ერთი გვერდი—5 მან., ნახევარ გვერდი—3 მან., მეოთხედი—2 მან.

ვინც განცხადებას დაჰბეჭდავს კალენდარში, 1890 წლის კალენდარს უფასოდ მიიღებს, განცხადებათათვის უნდა მიჰმართონ ტფილისში: ვ. გუნიას, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში, ქუთაისში—წერეთლის წიგნის მაღაზიას, ფოთში—ნოდიას წიგნის მაღაზიას, ბათუმში—მ. ნათაძეს.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ. Дворянскій банкъ.* **Валеріану Гунія.** (10—9)

## კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Караванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

მიხ. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თვეში 10 მან., სახლში აყვანილნი—30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108. (50—18)

## დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი ,,წერა-კითხვის საზოგადოების‘‘ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.


Дов. ценз. Тифлисъ 27-го Іюля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е.Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე